K 53038
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ვანო ბ ნიკო ახვლედიანი



ერლომ ახვლედიანი



ვანო და ნიკო

„ნაკადული“
თბილისი
1986

K 53038
2
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

84 Гр 7—44
ა 988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამედროვე ქართველი მწერლისა და კინოდრამატურგის ერლომ ახვლედიანის წიგნი „ვანო და ნიკო“ ეძღვნება ადამიანს, მის სამყაროს, მის დამოკიდებულებას საკუთარ სამყაროსა და გარე სამყაროსთან, ადამიანთა ურთიერთობას და ამ ურთიერთობაში გამოვლენილ მაღალ ფასეულობებს: სიყვარულს, მეგობრობას, ერთგულებას, სინდისიერებას, უბრალოებას, სათნოებას, სიბრძნეს.

ერლომ ახვლედიანი დაიბადა 1933 წელს თბილისში. 1957 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, 1964 წელს კი მოსკოვის უმაღლესი სასცენო კურსები.

„ვანო და ნიკო“ დაწერილია მის მიერ 1956-58 წწ. და თარგმნილია რუსულ, სომხურ, ჩეხურ, გერმანულ და უნგრულ ენებზე.

პირველ-მეორე გამოცემა

© „ნაკადული“, 1986 წ.

70303 — 170
А ——————— ბრძ. № 370—86
М 603 (08) — 86

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც ბაბუაჩემი აღარ არის, არავინ მიყვება ტკბილ ქართულ ზღაპრებს. ამიტომ მე, უკვე რამდენი წელია, ძილისწინა ოცნებითა და წარმოდგენებით ვინაზღაურებ ამ დანაკლისს. გავა დრო და დღისაგან გამოყოფილ ფიქრებში ჩამეძინება.

* * *

ერთხელ გვიან დავბრუნდი შინ. ჩავწექი ჩემს საწოლში. ვერ იქნა და ვერ დავიძინე. იმდენად ძლიერი იყო სურვილი დაძინებისა, როცა ჩავთვლიმე, იმწამსვე გამომაღვიძა სიხარულმა, რომ ჩავთვლიმე. რა ხერხს არ მივმართე, რა ღონე არ ვიხმარე. ათჯერ დავითვალე ათასამდე. თვალიც დავხუჭე, ვითომ მძინავს-მეთქი, მაგრამ ვის ვატყუებდი, საკუთარ თავს?

შემეშინდა, ვაითუ არასოდეს აღარ დამეძინოს-მეთქი. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ძილზე ხელი ჩავიქნიე და

თავი მივეც ოცნებას. მაგრამ ოცნებაც არანაკლებ ჯიუტი აღმოჩნდა — არ იქნა და არ მეოცნებებოდა.

მაშინ კი სასოწარკვეთაში ჩავვარდი. მან ხელგაშლილად მიმიღო. ვიჯექ სასოწარკვეთაში, როგორც მგლისათვის გათხრილ ბნელ ორმოში და ველოდებოდი მგელს. მგელი, სამწუხაროდ, სასოწარკვეთაში არ ჩამოვარდნილა და მე, ღამის სიჩუმეში მოწყენილს კვლავ არ მეოცნებებოდა და კვლავ არ მეძინებოდა.

უცებ ქუჩიდან გვიანი მგზავრის ნაბიჯის ხმა მომესმა ფილაქანზე. ჩაიარა ჩემი ფანჯრის წინ და სადღაც შორს მიილია.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ გონებაში გრძელდებოდა ნაბიჯების ხმის რიტმი: მინდოდა დიდხანს მსმენოდა ეს ხმა, რათა სიჩუმიდან სულ უმნიშვნელო ხმაური გამომეტანა, და როგორმე ამეწყო ჩემი ოცნება.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

შემდეგ შორიდან მატარებლის გაბმული კივილი გაისმა. წარმოვიდგინე მატარებელი. წარმოვიდგინე მისი ანთებული ფანჯრები ღამეში და თუნდაც ერთი მგზავრი, მდგარი ფანჯარასთან.

აქ კი ნელ-ნელა ამოძრავდა ჩემი ფანტაზია. ნელ-ნელა დაიძრა იგი, ახმაურდა და აღარ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი უცებ წარმოდგენების უზარმაზარი ტალღის წინაშე.

„უამრავი ადამიანია ქვეყნად! — წამოვიძახე გულში, თითქოს რაღაც ახალი აღმოვაჩინე. რას აკეთებენ ახლა ისინი? ვინ იცის, რამდენს არ ეძინება ჩემსავით ახლა“.

შემდეგ უფრო მხიარული აზრი მომივიდა: „რამდენი

ამ წუთას იცინის, კვდება სიცილით“, და მეც ხმამაღლა გავიცინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მე ისევ ბავშვი არ ვიყავი, რომ ჩემი წარმოდგენები მხოლოდ სიხარულის ხმებზე ამეწყო: „უამრავი ადამიანია ქვეყნად და, ვინ იცის, რამდენს ჭმუნვა და დარდი შეჰპარვია ახლა გულში“. წამით შევჩერდი მათთან თანაგრძნობით თავდახრილი და შემდეგ კვლავ მივუშვი ჩემი ფერადი ეტლი. „უამრავი ადამიანია ქვეყნად“... და მე ამ ქროლვაში უხვად ვფლანგავდი ჩემს ვარაუდებს: „ერთი იცინის, მეორე ტირის, მესამე მეოთხეს ესაუბრება, მეხუთე დგას, მეექვსე წევს, მეშვიდე ნახევრად წამოწოლილია, მერვე თავის ბაღში ყვავილებს რწყავს, მეცხრე ვარსკვლავებს ითვლის...“

მიმაქროლებდა იმ ღამით ჩემი წარმოდგენების ეტლი და თვალწინ სულ ახალი და ახალი სურათები ჩნდებოდა.

„სადღაც ახლა საღამოა. მზე ჩადის ნელა. ვიღაცა გასცქერს, თუ როგორ აქსოვს ჩამავალი მზე ცისკიდურს სევდასა და სიხარულს.

სადღაც კი ამოდის იგივე მზე და ახალი იმედით ანთებს აღმოსავლეთს...“

სულ ამიფორიაქდა გონება. ჩემს არსებაში რაღაც ძლიერმა განცდამ ჩაიბუდა. ჩემს წინაშე ამოძრავდა უცნაური და თვალუწვდენელი სურათი ცხოვრებისა, სადაც ადამიანებს უყვართ და სძულთ ერთმანეთი, ებრძვიან და უმეგობრდებიან ერთმანეთს — მაღალ მთებში, თვალუწვდენელ ველებზე, მდინარის მყუდროდ ჩაბურულ ნაპირებთან, უზარმაზარ ხმაურა ქალაქებში.

და ეს ხომ მხოლოდ ერთი წამია — ასეთი მდიდარი, ასეთი უსასრულო! ეს ერთი წამია შეზავებული დიდ შეფერილი ცრემლითა და ალერსით, დარდითა და სიხარულით, ვნებებითა და გულგრილობით, შეხვედრებითა და განშორებებით.

ერთი წამია!

დავიღალე, თუ მივნებდი ჩემი წარმოდგენების ხილვას, თვალი დავხუჭე. დავხუჭე თვალი, რათა კიდევ უფრო თვალნათლივ დამენახა ყოველივე, რაც იყო ირგვლივ. მინდოდა მკლავები შემომეხვია, მინდოდა რამე ამეღო იმ სივრცეებიდან და ხელს ვიშვერდი წინ თოთო ბავშვივით.

...და როგორც მოვიდა, ისევ უცებ გაქრა ყველაფერი. მაგრამ იმდენად ძლიერი იყო სურვილი გამომეტანა რამე იმ წარმოდგენებიდან, რომ, როცა თვალები გავახილე, დავინახე უცნაური სამყარო, როგორც საჩუქარი ჩემი იმღამინდელი ოცნებისა. ყველაფერი იყო ამ პატარა სამყაროში: იყო მთები, ველებიც იყო, მდინარეებიც, ცაც იყო და მიწაც, მზეც და მთვარეც, ვარსკვლავებიც.

იყო ვანო და ნიკოც იყო.

* * *

მას შემდეგ, რაც ბაბუაჩემი მოკვდა, არავინ აღარ მიყვება უჩვეულო ამბებს. ამიტომ ძილის წინ ოცნებებითა და წარმოდგენებით ვირთობ თავს. დრო მოვა და დღი-

საგან გამოყოფილ ფიქრებში ჩამეძინება. ჯერჯერობით კი ყოველლამე უცნაური სამყარო მიდგას თვალწინ, სადაც ვანო და ნიკო ხვდებიან და შორდებიან ერთმანეთს, ებრძვიან და უმეგობრდებიან ერთმანეთს. სადაც ტირიან და იცინიან ისინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთხელ

ერთხელ ვანო ჩვეულებრივზე გვიან ადგა, ჩვეულებრივზე ჩქარა ჩაიცვა ტანთ, ჩვეულებრივზე ჩქარა ისაუზმა, რათა თავის დროზე მისულიყო სამსახურში.

ქუჩაში გავიდა თუ არა, შეხვდა ნიკო.

— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ და ჩვეულებრივზე ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა ნიკოს, რათა თავის დროზე მისულიყო სამსახურში.

როდესაც ვანო სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, შე-

ხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს, და ნიკომ გაუღიმა ვანოს. ვანომ ღიმილითვე უპასუხა და ორივემ თავისი გზა განაგრძო.

როდესაც ვანო შინ მივიდა, ნახა რომ კარადაში პური არ იყო. პურის მაღაზიაში რომ მიდიოდა, შეხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს და ნიკომ მოიკითხა ვანო.

ვანომ მოკითხვითვე უპასუხა და ორივენი თავისი გზით წავიდნენ.

როდესაც ვანო პურის მაღაზიიდან ბრუნდებოდა, შეხვდა ნიკო, ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს, და ნიკომ ჰკითხა ვანოს:

—პური მიგვაქვს შინ?

— ჰო, — უპასუხა ვანომ და ორივემ თავისი გზა განაგრძო.

როდესაც ვანომ ისადილა, გაახსენდა, რომ კბილი უნდა ამოეღო. შინიდან გავიდა თუ არა, შეხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს და ნიკომ თვალი აარიდა ვანოს. ვანომ თვალის არიდებითვე უპასუხა და ორივემ თავისი გზა განაგრძო.

როდესაც ვანომ კბილი ამოიძრო და გაბრაზებული ბრუნდებოდა შინ, შეხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს, და ვანომ ბრაზით შეხედა ნიკოს. ნიკომ ბრაზითვე უპასუხა და ორივემ თავისი გზა განაგრძო.

როდესაც ვანო შინ მივიდა, გაახსენდა, რომ ნოტარიუსთან უნდა მისულიყო, საქმე ჰქონდა. შინიდან გამოვიდა თუ არა, შეხვდა ნიკო. ორივეს გაახსენდა, დღეს

დილას რომ მიესალმნენ ერთმანეთს, და ნიკომ შეუბღვი-
რა ვანოს. ვანომაც შეუბღვირა და ორივენი თავისი
გზით წავიდნენ.

როდესაც ვანო ნოტარიუსთან მივიდა, საქმე ვერ გა-
აკეთა და ლანძღვა-გინებით წამოვიდა შინ. გზაში ნიკო
შეხვდა. ორივეს გაახსენდა, დღეს დილას რომ მიესალ-
მნენ ერთმანეთს, და ვანომ გაარტყა ნიკოს. ნიკომ გარ-
ტყმითვე უპასუხა და ორივემ თავისი გზა განაგრძო.

ორივე შინ მივიდა. ორივემ თითო-თითო ჭიქა გადა-
ჰკრა. ორივე ტახტზე წამოწვა და ორივეს გაახსენდა,
რომ დღეს დილას მიესალმნენ ერთმანეთს, და ორივე
ქუჩაში გამოვიდა, რათა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ვანომ ეძება ნიკო და ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა.

ნიკომაც ეძება ვანო და ბოლოს, როგორც იქნა,
იპოვა.

— ღამე მშვიდობისა! — დაემშვიდობა ვანო ნიკოს.

— ღამე მშვიდობისა! — ნიკოც დაემშვიდობა ვანოს
და ორივენი თავისი გზით წავიდნენ.

იმ დღეს ვანო და ნიკო ერთმანეთს აღარ შეხვედ-
რიან, მხოლოდ სიზმარში ორივემ ერთმანეთი თითოჯერ
ნახა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი რიგზე იქნებოდა

ნიკო ვანოს უხეშად ელაპარაკებოდა ხოლმე.

ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ნიკო ვანოს უხეშად რომ არ ელაპარაკებოდეს, მაგრამ ყველაფერი რიგზე არ იყო, რადგან ნიკო ვანოს უხეშად ელაპარაკებოდა.

მართალია, ვანო და ნიკო ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ, მაგრამ როდესაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, ნიკო ვანოს უხეშად ელაპარაკებოდა.

ვანოს ეს სწყინდა, ცდილობდა კარგ ურთიერთობაში ყოფილიყო ნიკოსთან, მაგრამ ნიკო მაინც უხეშად ელაპარაკებოდა ვანოს.

ვანოს ჰყავდა მოხუცი დედა. ვანოს დედა ავად იყო. ვანო უვლიდა დედას. მეზობლებმა იცოდნენ, რომ ვანოს დედა ავად იყო, და, როდესაც ვანო სამსახურში მიდიოდა, მეეზოვე ქალი მუდამ ეკითხებოდა ხოლმე:

— ვანო, დედა როგორ არის?

ვანო ჯერ გაუღიმებდა და მიესალმებოდა მეეზოვე ქალს, ხოლო შემდეგ მოიწყენდა და უპასუხებდა:

— ავადაა, მოხუცდა დედა, — და კიდევ უფრო მოიწყენდა, რადგან გაახსენდებოდა, რომ ნიკო უხეშად ელაპარაკებოდა.

როდესაც ვანო სამსახურიდან ბრუნდებოდა, სკამს დედის საწოლთან მიდგამდა. ავადმყოფს აჭმევდა, ასმევდა, მოეფერებოდა და დააძინებდა. ხოლო თვითონ დიდხანს იჯდა და ოცნებობდა: რა იქნება, მოვიდეს ნიკო და მითხრას, დღეის შემდეგ უხეშად აღარ დაგელაპარაკებიო, მაშინ ხომ ყველაფერი რიგზე იქნება...

გავიდა ხანი.

ერთ დღეს მეეზოვე ქალმა დედის სიკვდილი მიუსამძიმრა ვანოს.

ვანომ ნაღვლიანად გაუღიმა მეეზოვე ქალს და გზა განაგრძო. ვანო მიდიოდა და ფიქრობდა „მოხუცდა და მოკვდა, საცოდავი დედა...“ მერე სახე მოეღრუბლა, რადგან გაახსენდა, რომ ნიკო მას უხეშად ელაპარაკებოდა.

ვანოსთან ერთად მსახურობდა ერთი ქალი. ვანოს მოეწონა ის ქალი და მერე ძალიან შეუყვარდა. ქალსაც შეუყვარდა ვანო. ვანო ბედნიერი იყო, მაგრამ... „მივალ და ვეტყვი ნიკოს, ნუ დამელაპარაკება უხეშად, მაშინ ხომ ყველაფერი რიგზე იქნება“... ფიქრობდა ვანო და მიდიოდა იმ ქალთან შესახვედრად.

ერთ დღეს ვანომ გაიგო, რომ ის ქალი, რომელიც მას შეუყვარდა, სხვას გაჰყვა ცოლად. ვანოს ძალზე დაწყდა გული — „ალბათ არ ვუყვარდი, ალბათ სხვა მოეწო-

ნა“, — ფიქრობდა ვანო — „...დღეის შემდეგ მაინც ნუ დამელაპარაკება უხეშად ნიკო“.

მაგრამ ნიკო ვანოს უხეშად ელაპარაკებოდა.

ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ნიკო უხეშად რომ არ ელაპარაკებოდეს ვანოს, მაგრამ ყველაფერი რიგზე არ იყო, რადგან ნიკო ვანოს უხეშად ელაპარაკებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო და ნიკო და სიცილი

ერთხელ ნიკო იჯდა და იცინოდა. იცინოდა ნიკო და იცინოდა.

იცინოდა ნიკო უზმოზე. იცინოდა ნიკო შუადღეზე. საღამოსაც იცინოდა ნიკო. ღამე ხომ სულ კვდებოდა სიცილით.

ვანო უცქერდა და უკვირდა. ნიკო იცინოდა.

ვანო უცქერდა და აღარ უკვირდა. ნიკო მაინც იცინოდა.

ვანომ ირგვლივ მიმოიხედა და გაიფიქრა: „რა აცინებს ნიკოს?“

— ნიკო, ეს არის მაგიდა.

ნიკო იცინოდა.

ვანოს გაუხარდა, რომ ნიკოს მაგიდა აცინებდა და მაგიდა გარეთ გაიტანა.

ნიკო მაინც იცინოდა.

— ნიკო, ეს არის კარადა.

ნიკო იცინოდა.

ვანოს გაუხარდა, რომ ნიკოს კარადა აცინებდა და კარადა გარეთ გაიტანა.

ნიკო მაინც იცინოდა.

— ნიკო, ეს არის საწოლი.

ნიკო იცინოდა.

ვანოს გაუხარდა, რომ ნიკოს საწოლი აცინებდა და საწოლი გარეთ გაიტანა.

ნიკო მაინც იცინოდა.

— ნიკო, ეს არის ცარიელი ოთახი, — და ვანომ ნიკოს ცარიელი ოთახი აჩვენა.

ნიკო იცინოდა.

ვანომ ცარიელი ოთახი გარეთ გაიტანა.

ნიკო კინაღამ არ მოკვდა სიცილით.

გაბრაზდა ვანო. გავარდა გარეთ, მუხლებზე დაეცა და თქვა:

— ნიკო! ეს არის მზე, ეს — ჩრდილებია.

ნიკოს უნდოდა გაეცინა.

— ნიკო! ეს არის საღამო, ეს — ღრუბლებია.

ნიკოს უნდოდა გაეცინა.

— ნიკო! ეს არის ცა, ეს — ვარსკვლავებია.

ნიკოს უნდოდა გაეცინა.

— ნიკო! ეს არის დარდი, ეს — ცრემლებია.

ნიკოს უნდოდა გაეცინა.

— ეს არის სიცოცხლე, ხოლო ეს — ბედნიერება, ნიკო!

ნიკოს უნდოდა გაეცინა, მაგრამ მწარედ ატირდა.

იმ დღის შემდეგ ნიკო ხან იცინოდა და ხან ტიროდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
Y 53038
2

ვანო და ნიკო და ასანთი

ვანო უცქერდა ქალს.

— რატომ მიცქერ, მოგეწონე?

ვანო უცქერდა ქალს.

— რატომ მიცქერ, არ მოგეწონე?

ვანო უცქერდა ქალს.

— რატომ მიცქერ... ნუ მიცქერ.

ვანო აღარ უცქერდა ქალს.

ვანომ პაპიროსი ამოიღო და შემდეგ დიდხანს ეძება ასანთი ჯიბეებში.

— რას ეძებ?

ვანო აღარ უცქერდა ქალს. ვანო ასანთს ეძებდა.

— ასანთს?... აგერ ასანთი. — და ქალმა მიწიდან გამტვერილი ასანთი აიღო და ვანოს გაუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანომ გაიღიმა.

— რატომ იღიმები?

ვანო აღარ იღიმებოდა. ვანომ გამოართვა ასანთი, კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო და გაჰკრა, მაგრამ ქარმა ჩააქრო.

ვანომ დამწვარი ღერი კვლავ კოლოფში ჩააბრუნა.

გაჰკრა მეორე ღერი და ისიც ქარმა ჩააქრო.

ვანომ დამწვარი ღერი ისევ კოლოფში ჩააბრუნა.

გაჰკრა მესამე ღერი და ქარმა ის არ ჩააქრო. ვანომ პაპიროსს მოუკიდა და ასანთი ქალს გაუწოდა.

— გქონდეს სახსოვრად, — უთხრა ქალმა, — რატომ მიცქერ, შეგიყვარდი?

ვანომ ასანთი გულის ჯიბეში ჩაიდო.

ვანო და ნიკო მეგობრები იყვნენ.

ვანოს ნიკო ისევე უყვარდა, როგორც ნიკოს ვანო. ვანოს ის ქალიც უყვარდა, რომელსაც უცქირა, უცქირა და მერე ძალიან შეუყვარდა და რომელმაც მას ასანთი უსახსოვრა...

მაგრამ ერთ დღეს ნიკოს ვანოს შეყვარებული შეუყვარდა...

ვანო და ნიკო მეგობრები იყვნენ.

მეორე დღეს ნიკო მივიდა ვანოსთან და სანთელი სთხოვა.

ვანოს მხოლოდ ერთი სანთელი ჰქონდა, მაგრამ აბა, რა უნდა ექნა ვანოს, აიღო და მისცა სანთელი ნიკოს...

კიდევ კარგი ასანთი არ სთხოვა ნიკომ...

ნიკო წავიდა და სანთელი აანთო და წერილი მისწერა იმ ქალს.

ვანო და ნიკო მეგობრები იყვნენ.

მესამე დღეს ნიკო მივიდა ვანოსთან და ქუდი სთხოვა.

ვანოს მხოლოდ ერთი ქუდი ჰქონდა, მაგრამ, აბა, რა უნდა ექნა ვანოს, აიღო და მისცა ქუდი ნიკოს...

კიდევ კარგი ასანთი არ სთხოვა ნიკომ...

ნიკო წავიდა, ქუდი დაიხურა და პაემანზე შეხვდა იმ ქალს...

ვანო და ნიკო მეგობრები იყვნენ.

ნიკოს ძალიან შეუყვარდა ის ქალი, მაგრამ კიდევ უფრო უნდოდა შეყვარებოდა. მეოთხე დღეს ნიკო მივიდა ვანოსთან და იმ ქალისადმი სიყვარული სთხოვა ვანოს. ვანოს ერთი სიყვარული ჰქონდა იმ ქალისადმი, მაგრამ, აბა, რა უნდა ექნა ვანოს, აიღო და მისცა იმ ქალისადმი სიყვარული ნიკოს...

კიდევ კარგი ასანთი არ სთხოვა ნიკომ.

ნიკო წავიდა და კიდევ უფრო შეუყვარდა ის ქალი.

ვანო და ნიკო მეგობრები იყვნენ.

როდესაც კიდევ უფრო ძლიერ შეუყვარდა ის ქალი ნიკოს, უნდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ეს სიყვარული და მეხუთე დღეს ნიკო მივიდა ვანოსთან და სიცოცხლე სთხოვა ვანოს. ვანოს მხოლოდ ერთი სიცოცხლე ჰქონდა, მაგრამ, აბა, რა უნდა ექნა ვანოს, აიღო და მისცა სიცოცხლე ნიკოს...

კიდევ კარგი ასანთი არ სთხოვა ნიკომ.

ნიკო წავიდა და იმ ქალს გაუყო ვანოს სიცოცხლე და ისინი დიდხანს ცოცხლობდნენ...

ვანო და ნიკო მეგობრები იყვნენ...

მეგობრები იყვნენ ვანო და ნიკო და მეექვსე დღეს ნიკო მივიდა ვანოსთან და ერთგულება სთხოვა მეგობარს. აბა, რა უნდა ექნა მეგობარს, აიღო და მისცა ერთგულება მეგობარს...

კიდევ კარგი ასანთი არ სთხოვა მეგობარმა...

ვანოს აღარ უყვარდა ის ქალი, რადგან აღარ ჰქონდა იმ ქალისადმი სიყვარული. ქალსაც აღარ უყვარდა ვანო, რადგან ვანოს აღარ ჰქონდა არც სანთელი, არც ქუდი, არც სიყვარული მისდამი, არც სიცოცხლე და არც ერთგულება. იმ ქალს ნიკო უყვარდა...

მეშვიდე დღეს ნიკო და ვანო ქუჩაში იდგნენ. ნიკომ აიღო პაპიროსი და დიდხანს ეძება ჯიბეებში ასანთი.

— რას ეძებ? — ჰკითხა ვანომ.

ნიკო ასანთს ეძებდა.

— ასანთს ხომ არ ეძებ? — შიშით ჰკითხა ვანომ.

ნიკო ასანთს ეძებდა.

ვანომ გულის ჯიბეზე მიიდო ხელი და გაახსენდა:

— რატომ მიცქერ, მოგეწონე?...

— რატომ მიცქერ, არ მოგეწონე?...

— რატომ მიცქერ... ნუ მიცქერ...

— რას ეძებ?

— ასანთს?... აგერ ასანთი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რატომ იღიმები?...

— გქონდეს სახსოვრად...

ნიკო ასანთს ეძებდა.

— ნიკო, მე მაქვს ასანთი და, გთხოვ, ნუ მთხოვ, თორემ მოგცემ... ის სახსოვარია...

ნიკო წავიდა და სხვას სთხოვა ასანთი.

ნიკო და ვანო მეგობრები იყვნენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო და ნიკო და ვალი

ერთხელ ვანო ნიკოზე ოცი წლით უფროსი იყო...

ნიკოს ვანოს ვალი ჰქონდა, მაგრამ ნიკო ვანოს სულ ატყუებდა: დღეს ეუბნებოდა, ხვალ მოდიო, ხვალ ეუბნებოდა, ხვალ მოდიო, და ყოველდღე ეუბნებოდა, ხვალ მოდიო.

ვანოს სწყინდა, ნიკო რომ ატყუებდა და ფიქრობდა: „თუ შეუძლია გადამიხადოს — გადამიხადოს, თუ არ შეუძლია გადამიხადოს, რატომ მატყუებს?! პირდაპირ მითხრას და გათავდება“.

მაგრამ ნიკო პირდაპირ არ ეუბნებოდა და თუ ეუბნებოდა, ეუბნებოდა, ხვალ მოდიო.

„თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ავდგები და წყენით შევხედავ. მაშინ ხომ მიხვდება, რომ მწყინს, რომ მატყუებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.
— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.
— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ.
— რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა ნიკომ.
—შენ ჩემი ვალი გმართებს, — უპასუხა ვანომ.
— ხვალ მოდი, — თქვა ნიკომ.
ვანო წამოდგა, წყენით ვერ შეხედა ნიკოს და წამოვიდა.
„ხვალაც მივალ, — ფიქრობდა ვანო, — ხვალაც მივალ და, თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ავდგები და ვეტყვი, რომ მატყუებს. მაშინ ხომ მიხვდება, რომ ვხვდები, რომ მატყუებს?“

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.
— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.
— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ.
— რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა ნიკომ.
— შენ ჩემი ვალი გმართებს, — უპასუხა ვანომ.
— ხვალ მოდი. — თქვა ნიკომ.
ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:
„ნიკო, მე ვხვდები, რომ მატყუებ“, — და წამოვიდა.
„ოცი წლით უფროსია ჩემზე ნიკო, — ფიქრობდა ვანო, —მე რომ ნიკოზე ოცი წლით უფროსი ვიყო, აუცილებლად გადავუხდიდი ვალს. თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ვეტყვი, რომ უპიროა და არ ეკადრება. ნეტა ნიკო არ იყოს ჩემზე ოცი წლით უფროსი“.
მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.
— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ.

— რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა ნიკომ.

— შენ ჩემი ვალი გმართებს, — უპასუხა ვანომ.

— ხვალ მოდი, — თქვა ნიკომ.

ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:

— „ნიკო! შენ უპირო ხარ, არ გეკადრება... ოცი წლითა ხარ ჩემზე უფროსი“, — და წამოვიდა.

„უჰ, თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, — ფიქრობდა ვანო, — ავდგები და კარგად გამოვლანძღავ, ვეტყვი — შე ასეთო და ისეთო... უჰ, რად არა ვარ ნიკოზე ოცი წლით უფროსი!“

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ.

— რამ მოგიყვანა? — ჰკითხა ნიკომ.

— შენ ჩემი ვალი გმართებს, — უპასუხა ვანომ.

— ხვალ მოდი! — თქვა ნიკომ.

ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:

„ხვალ მოვიდე?... ნეტა შენზე ოცი წლით უფროსი ვიყო... შე ასეთო და ისეთო... უჰ!“ — და წამოვიდა.

„მეტი აღარ შემიძლია, — ფიქრობდა ვანო. — მეტი აღარ შემიძლია, ხვალაც მივალ. ხვალაც მივალ და, თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ქვა მექნება ჯიბეში ხვალ და, თუ მითხრა, ხვალ მოდიო, ვეტყვი, ამ ქვას თავში დაგარტყამ-მეთქი და, თუ გაიქცა, გამოვეკიდები... მაგრამ ვეცდები არ დავეწიო, ვეცდები არ მოვარტყა...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.

ვანომ არაფერი უპასუხა.

— რამ მოგიყვანა?

— ვალი!

— ხვალ...

ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:

— ხვალაო?!.. გაიქეცი! ქვა მოვიდა თავში! გაიქეცი!.. ვეცდები არ დაგეწიო... ვეცდები არ მოგარტყა... გაიქეცი! ჩქარა!"

ნიკო არ გაიქცა. ვანო არ გამოეკიდა და არ დაეწია. არც ესროლა და არც ააცილა. ვერც გასძახა ნიკოს:

—„ხვალ არ მოვალ, მოვალ ზეგ და, თუ ჩემი ვალი არ დამიბრუნე, დაგეწევი. ტყუილად კი არა ვარ შენზე ოცი წლით უმცროსი?!" და წამოვიდა.

მეორე დღეს ვანო არ მივიდა ნიკოსთან და მთელი დღე დიდ ქვას არჩევდა მისთვის.

მესამე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ.

— რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა ნიკომ.

— შენ ჩემი ვალი გმართებს, — უპასუხა ვანომ.

— ხვალ...

— რაო?!

— ხვალ...

— რაო?!

— ხვალ ნუ მოხვალ... დღეს მოგცემ შენ ვალს...

— ნიკო, მაპატიე, რომ შეგაწუხე... შენ ხომ ჩემზე ოცი წლით უფროსი ხარ...

ნიკომ ვანოს ვალი დაუბრუნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრიყვი ვანო და ჭკვიანი ნიკო

ერთხელ ასე თქვეს: ვანო ბრიყვიაო, ხოლო ნიკო არ არის ბრიყვიო.

„რა ვქნა — ბრიყვი ვარ“, ფიქრობდა ვანო და მაინც ბრიყვი იყო.

„ჭკვიანი ვარ!“ — უხაროდა ნიკოს.

— ეჰ, — ეუბნებოდა ნიკო ვანოს, — ერთხელ დაიბადე და ისიც ბრიყვი.

— აბა, — მიუგებდა ვანო, — ერთხელ დავიბადე და

ისიც ბრიყვი. შენ კი ყოჩაღ, ბრიყვი რომ არა ხარ, ჭკვიანი ხარ.

წუხდა ვანო, ბრიყვი რომ იყო.

უხაროდა ნიკოს, რადგან ჭკვიანი იყო.

ვანო შინიდან გადიოდა და მაინც ბრიყვი იყო.

ნიკო შინიდან არ გადიოდა, რადგან ჭკვიანი იყო.

შინიდან რომ გადიოდა, სულ დადიოდა ვანო და მაინც ბრიყვი იყო.

ნიკო შინიდან რომ არ გადიოდა, არ დადიოდა, რადგან ჭკვიანი იყო.

მზე ამოდიოდა...

ვანო უცქერდა, თუ როგორ ამოდიოდა მზე. ამბობდა „რა კარგიაო," და მაინც ბრიყვი იყო.

ნიკო არ უცქერდა, თუ როგორ ამოდიოდა მზე და, არაფერს არ ამბობდა, რადგან ჭკვიანი იყო.

...და დადგა დღე...

ვანო უცქერდა დღეს და უხაროდა, რომ დღე იყო და, მაინც ბრიყვი იყო.

ნიკო არ უცქერდა დღეს, რადგან ჭკვიანი იყო.

მზე ჩადიოდა.

მზე ჩადიოდა და დასავლეთ მეწამულ სიზმარს ჰგავდა. ვანო უცქერდა მზის ჩასვლას და ამბობდა, რა კარგიაო და, მაინც ბრიყვი იყო.

ნიკო ჭკვიანი იყო.

უყვარდა ვანოს. უყვარდა და ტიროდა ვანო. ტიროდა და იცინოდა ვანო. იცინოდა და მაინც ბრიყვი იყო.

ნიკო არ იყო ბრიყვი, რადგან არ უყვარდა.

კარგი იყო სიცოცხლე და ვანო ამბობდა — რა კარ-
გიაო — და ნიკო ჭკვიანი იყო.

— ეჰ, — ეუბნებოდა ნიკო ვანოს, — ერთხელ დაი-
ბადე და ისიც ბრიყვი.

— აბა, — უპასუხებდა ვანო, — ერთხელ დავიბადე
და ისიც ბრიყვი. შენ კი ყოჩაღ, რომ ჭკვიანი ხარ, რა
კარ.გია!

დღეები გადიოდა და ვანო მაინც ბრიყვი იყო.

დღეები გადიოდა, რადგან ნიკო ჭკვიანი იყო.

— მეც მაქვს თვალები...

— ესე იგი, შენც ფრინველი ხარ! — ნიშნისმოგებით მიაძახა ნიკომ.

— კი მაგრამ, მე რომ ფრთები არა მაქვს?

ნიკო ჩაფიქრდა. ნიკო ჩაფიქრდა და მერე, გაბრაზებულმა, დაუყვირა ვანოს:

— გაჩუმდი! ფრთებიც ამოგივა და გაფრინდები კიდეც... და თუ ფრთები არ ამოგივიდა, იცოდე, მიწაზე მოგკლავ, როგორც ფრთებდაცვენილ ფრინველს...

შეწუხდა ვანო და შინისაკენ გაემართა. ჯიბეებიდან ქვებს იღებდა და გზაზე ცრემლებივით ფანტავდა. ხოლო ცრემლები ქვასავით მძიმე იყო.

„რა ვქნა, — ფიქრობდა ვანო და მიდიოდა, ტიროდა და ქვებს ფანტავდა, — რა ვქნა, თუ ფრინველი არა ვარ და ფრენა არ შემიძლია. რა ვქნა, თუ ნიკო მონადირეა და ჩემი მოკვლა უნდა. რა ვქნა, თუ სულ ერთია, ავფრინდები თუ არ ავფრინდები...“

მზე ჩადიოდა...

ვანომ ცას ახედა. ვანოს ქვები აღარ ეწყო ჯიბეებში და სიმსუბუქე იგრძნო. ვანომ მერცხალს შეხედა და ისწავლა ფრენა. ვანომ ცას შეხედა და მოუნდა ფრენა...

— თუ ფრინველი ვარ, სჯობს ცაში მოვკვდე, — თქვა და აფრინდა.

ცა აიცსო. ნიკომ დაუმიზნა და ესროლა. ესროლა და მოარტყა. მოარტყა და ჩამოაგდო.

— აკი არა ვარო ფრინველი?! — წამოიძახა ნიკომ.

ცა კვლავ დაცარიელდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვანო და ნიკო
და
სიმაღლე და სიდაბლე

I

ერთხელ ნიკო უსაქმოდ იყო და უთხრა ვანოს:
— მე შენზე მაღალი ვარ.
ვანოს ეწყინა და უპასუხა:

— მე კი შენზე მაღალი ვარ.

ნიკო ფეხის წვერებზე აიწია და უთხრა ვანოს:

— ახლა ხომ ვარ შენზე მაღალი?!

— მე რა, არა მაქვს ფეხის წვერები? — უპასუხა ვანომ.

ნიკო სკამზე შეხტა და დაიძახა:

— ახლა?

ვანოც სკამზე შეხტა.

ნიკო გარეთ გავარდა, ხეზე ავიდა და ვანოს გადმოსძახა:

— ვანო, ამომხედე!

ვანომ არ ახედა, სხვა ხეზე ავიდა და არაფერი არა თქვა.

ნიკო ხიდან მთაზე გადავიდა და ვანოს გადმოსძახა:

— ეჰე, ვანო, შემომხედე, რა მაღალი ვარ!

ვანოც ავიდა მთაზე და ნიკოს გადასძახა:

— ეჰე, ნიკო!

ხოლო შემდეგ ვანომა და ნიკომ, რაც ახლომახლო მთები იყო, გაიყვეს, ერთმანეთზე აახოხოლავეს, ზედ შედგნენ... და ისმოდა ყვირილი:

— აუ-უ, ვანო, შემომხედე! რა მა-ღა-ლი ვარ!!

და ხევებიდან, კლდეებიდან, უფსკრულებიდან ბრუნდებოდა ათასი პასუხი.

— აუ, ვანო, შემომხედე, რა მა-ღა-ლი ვაააარ!!!

დაიღალნენ. სიმაღლეებიდან ბილიკ-ბილიკ ჩამოვიდნენ. მთები თავთავიანთ ადგილებზე დაალაგეს, მოიტანეს თარაზო, მოასწორეს მიწა და დაეტოლნენ:

თურმე ორივე ერთმანეთზე თითო-თითო სანტიმეტრით მაღალი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ერთხელ კი ვანო იყო უსაქმოდ და უთხრა ნიკოს:

— მე შენზე დაბალი ვარ.

ნიკოს ეწყინა და უპასუხა:

— მე კი შენზე დაბალი ვარ.

ვანო მუხლებზე დაეცა და უთხრა ნიკოს:

— ახლა ხომ ვარ შენზე დაბალი?

ნიკო იატაკზე გაწვა:

— ახლა?

ვანომ მიწა ამოჩიჩქნა და შიგ ჩაწვა:

— ეჰე, ნიკო, რა დაბალი ვარ?

ნიკომაც ამოჩიჩქნა მიწა.

ვანომ ორმო ამოთხარა.

ნიკომაც ორმო.

ვანომ ჭა გათხარა.

ნიკომაც.

თხარეს და თხარეს და ისმოდა ხმა:

— ნიკო! ნიკო! ჩამომხედე, რა დაბალი ვარ...

მაგრამ ეს ხმა გუბდებოდა მიწის ღრმა სიბნელეში, გუბდებოდა და პეპელასავით სადღაც ახლო ილეოდა და კვდებოდა.

დაიღალნენ. ამოვიდნენ. მიწა კვლავ მიწას დაუბრუნეს. დატკეპნეს. თარაზოც მოიტანეს. დაეტოლნენ.

თურმე ორივე ერთმანეთზე თითო-თითო სანტიმეტ-
რით დაბალი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III

ერთხელ ორივეს საქმე ჰქონდა...

ვანო და ყოვლისშემძლე ნიკო

ერთხელ ნიკო ყოვლისშემძლე იყო. ვანო კი — ვანო იყო.

ყოვლისშემძლე იყო ნიკო და რაც უნდოდა, იმას აკეთებდა:

თუ უნდოდა, კურდღელს გამოეკიდებოდა და თუ უნდოდა, დაიჭერდა კიდეც;

თუ უნდოდა, მზეს ჩამოიღებდა და თუ უნდოდა სკივრში შეინახავდა კიდეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ უნდოდა, არაფერს არ აკეთებდა და, თუ უნდოდა, ვერაფერს ვერ აკეთებდა კიდეც.

მოკლედ, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა... ხოლო მერე მაღალ მთაზე გადაჯდებოდა და ხარხარებდა:

ყოვლისშემძლე ნიკო ვარ და
ღამეები გავათენე,
ყოვლისშემძლე ნიკო ვარ და
შავი ფერი გავათეთრე,
ყოვლისშემძლე ნიკო ვარ და
ლუწი იყო გავაკენტე,
ყოვლისშემძლე ნიკო ვარ და
სხვისი იყო, გავაჩემე...

შემდეგ ისევ ხარხარებდა ნიკო:

ათი იყო, გავაასე,
ნიკო ვარ და ყოვლისშემძლე,
ასი გახდა — გავაერთე,
ნიკო ვარ და ყოვლისშემძლე,
გონჯი იყო, გავამზევე,
ნიკო ვარ და ყოვლისშემძლე,
მზე იყო და დავამხე მე,
ნიკო ვარ და ყოვლისშემძლე.

ხარხარებდა ნიკო და მზე ღრუბელს იფარებდა და ხე გარბოდა. ფრინველი ვერ ფრენდა და ჭიანჭველა ვერ ჭაჭანებდა. აბა მთვარე როგორღა ამოვიდოდა, — ეშინოდა.

სწორედ მაშინ, როდესაც ნიკო მაღალ მთაზე იჯდა და ხარხარებდა, ვანო დაბალ მთაზე იდგა და ფიქრობდა:

„რა შემიძლია მე?

კურდღელს კი გამოვეკიდები, მაგრამ რას დავიჭერ?

მზეს ვერ მივწვდები და, რომც მივწვდე, რას ჩამოვიღებ?

ფიქრი შემიძლია მხოლოდ და რიგიანად ისიც არ შემიძლია“.

იდგა ვანო დაბალ მთაზე და წუხდა:

„ვანო ვარ და მორჩა და მხოლოდ ის შემიძლია, რომ:

ღამეები დავაღამო,
შავი ფერი გავაშავო,
ლუწია და გავალუწო,
სხვისია და გავასხვისო“.

ისევ წუხდა ვანო:

„ერთია და აბა მე რა უნდა ვქნა?!

ვთქვათ, ათი გახდა, მაინც რა უნდა ვქნა?!

გონჯია და მხოლოდ ის შემიძლია, რომ გონჯი დარჩეს... ეჰ!“

მაღლიდან კი ისმოდა ნიკოს გაუთავებელი ხარხარი:

„ყოვლისშემძლე ნიკო ვარ და ნიკო ვარ და ყოვლისშემძლე...“

„ეჰ, — ფიქრობდა ვანო, — მე რომ ნიკოსავით ყოვლისშემძლე ვიყო...“ და გაეღიმა ვანოს. „ჰო, მე რომ ნიკოსავით ყოვლისშემძლე ვიყო, მაშინ“... და ვანო წამოჯდა დაბალ მთაზე და ღიმილით წაიღიღინა:

„ღამეებს გავათენებდი,
კენტს დავაწყვილებდი,
ათს გავაასებდი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკუხეს დავამწიფებდი,
გონჯს გავამზევებდი...
...და ყველაფერს კარგს ვიზამდი“!

მღეროდა ვანო და ბოლოს გადაწყვიტა, ასულიყო მაღალ მთაზე და ნიკოსათვის ესწავლებინა ეს სიმღერა.

მაგრამ სანამ მაღალ მთაზე ავიდოდა, სიმღერის სიტყვები დაავიწყდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო და შვიდი ნიკო

ერთხელ ნიკო შვიდი იყო. ვანო კი ერთი იყო და თანაც პატარა.

ერთმა ნიკომ ვანო გაზარდა და თქვა — ვანო ჩემიაო.

მეორე ნიკომ ტანთ ჩააცვა და თქვა — ვანო ჩემიაო.

მესამე ნიკომ არც გაზარდა და არც ჩააცვა და მაინც თქვა — ჩემიაო ვანო.

მეოთხე ნიკომ ქუდი დაახურა. ქუდი ცოტა დიდი

შოუვიდა ვანოს, რადგან პატარა იყო ვანო, მაგრამ მეოთხე ნიკო ვანოს მაინც იჩემებდა.

მეხუთე ნიკო ყველა ნიკოზე ღონიერი იყო და თქვა — ვანო ჩემიაო.

მეექვსე ნიკო, მართალია, არაფერს ამბობდა, მაგრამ ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ ვანო მისი იყო.

მეშვიდე ნიკო ვანოს მასწავლებელი იყო და ბევრი რამე ასწავლა ვანოს, მაგრამ ბოლოს ისიც უნდოდა ესწავლებინა, რომ ვანო სწორედ მისი იყო.

ვანო პატარა იყო და თანაც ერთი და აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, თუ ვისი იყო. ხან ერთ ნიკოს ეუბნებოდა, შენი ვარ, ხან მეორე ნიკოს ეუბნებოდა, შენი ვარ, ხან მესამე ნიკოს ეუბნებოდა, შენი და ხან ყველას ერთად ეუბნებოდა, თქვენი ვარო.

ერთხელ ვანო წავიდა და დიდი მუხის ქვეშ წამოჯდა და ჩაფიქრდა:

„ვისი ვარ?

მგონი, მე, პირველი ნიკოსი არა ვარ. მგონი არც მეორე ნიკოსი ვარ. მესამე ნიკოსი არ ვარ და არა ვარ. მეოთხე ნიკოსი? — არა! მეხუთესი? — არა! მეშვიდე ნიკოსი არა ვარ და აბა, მეექვსე ნიკოსი როგორღა ვიქნები“.

მერე წამოდგა, ტყე გაიარა და ველზე გავიდა. ყვავილები დაკრიფა და ცას ახედა. მერე ისევ ტყეში შევიდა. ისევ დიდი მუხის ქვეშ წამოჯდა და უცებ თქვა: „მგონი, ჩემი ვარ“.

ვანო წამოდგა და გაიქცა და თავისი იყო.

ვანო წამოდგა და გამოიქცა და თავისი იყო.

ვანო წამოდგა და გადაიხარხარა და თავისი იყო.

ვანო დაეცა და ატირდა და თვითონ იყო, თავისი.

ტკიოდა და თავისი იყო ვანო.

მღეროდა და თავისი იყო ვანო.

ბედნიერი იყო და თავისი იყო ვანო.

კვდებოდა ვანო და თვითონ იყო, თავისი.

კვდებოდა ვანო, პატარა ვანო, ერთი ვანო და უხაროდა, რომ არავისი არ იყო და თვითონ იყო თავისი...

მუხა კი დიდი ყვავილი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი იყოს!

ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და უყვარდათ ეს ქვეყანა. ადიოდნენ მთებზე, მაღალ მწვერვალებზე. მწვერვალებიდან ჩამოდიოდნენ ველად, ჰკრეფდნენ ყვავილებს და უხაროდათ ჭრელ-ჭრელი ყვავილები. გადიოდნენ გაუვალ ტყეებს. უცქერდნენ მზეს და უხაროდათ მაღალი მზე. კრეფდნენ ხეთა ნაყოფს. თესავდნენ პურს. მკიდნენ პურს. შეჰქონდათ წისქვილში და იქ, მთელი ღამე, ზღაპრების ნაცვლად მართალს ყვებოდნენ...

ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და უხაროდათ ეს ქვეყანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ მზე ჩავიდა.

— ნიკო, — უთხრა ვანომ ნიკოს, — მე მეძინება და დავიძინებ. როცა მზე ამოვა, გამომაღვიძე.

— ვანო, — უპასუხა ნიკომ ვანოს, — მეც მეძინება და მეც უნდა დავიძინო. როცა მზე ამოვა, მე ვინღა გამაღვიძებს?

— ნიკო, — თქვა ვანომ, — მაშინ ორივემ დავიძინოთ და ვინც პირველი გაიღვიძებს, იმან მეორე გააღვიძოს.

— ვანო, — თქვა ნიკომ, — ასე იყოს.

ორივეს ეძინა. ღამემ, უზარმაზარმა შავმა სინათლემ, მშვიდად გადაუფრინა ნიკოსა და ვანოს და შორს, ქვეყნის ბოლოს ჩაქრა.

მზე ამოვიდა...

ნიკომ გაიღვიძა.

— ვანო, გაიღვიძე, — დაიწყო ნიკომ ვანოს გაღვიძება. — მე უკვე გავიღვიძე.

თუმც ძალიან სურდა, ვანო მაინც ვერ იღვიძებდა.

მაშინ ნიკომ ვანოს ჩასძახა:

— ვანო, აჰა, მიჩუქნია გამოღვიძება, შენი იყოს!

ვანომ გამოიღვიძა და გამოღვიძება მისი იყო.

— ო, რა ლამაზი სიზმარი ვნახე, — დაიწყო ვანომ. — აზურმუხტებულ მთებს შორის წმინდა მდინარე მიედინებოდა. მზე ამ მდინარეში ჩავიდა. წყალმა მზეს გადაუარა. მზე დაცხრა და გამჭვირვალე გახდა. მასში ჩავიხედე და ცა დავინახე. ცაში ოქროსფერი თევზები

ცურავდნენ. შემდეგ კარგად დავაკვირდი და ჩემი თავი დავინახე მათ შორის. თეთრ ცხენზე ვიჯექი და სიმღერას ვმღეროდი. კვლავ დავაკვირდი და შორს, სივრცეში, ვარდისფერ ღრუბელზე სამი ქალი შევნიშნე. ახლოს როცა მიველ, იმ ღრუბელზე მხოლოდ ერთი ქალი იყო და იმასაც ეძინა...

— ო, რა ლამაზი სიზმარი გინახავს, ვანო, — თქვა ნიკომ.

— გინდა, შენი იყოს! — წამოიძახა ვანომ.

— მინდა! — გაუხარდა ნიკოს.

— აჰა! — და ვანომ თავისი სიზმარი ნიკოს მისცა და ის მშვენიერი სიზმარი, იმ ოქროს თევზებით, იმ ლურჯი ცით, იმ ვარდისფერი ღრუბლითა და იმ ლამაზი, მიძინებული ქალით, ნიკოსი გახდა.

ამის შემდეგ სულ ასე ხდებოდა:

...გაზაფხული მოვიდოდა. ბუჩქის ძირას ია ლურჯ თვალებს გაახელდა. ნიკო მის წინაშე წაიჩოქებდა. შემდეგ ვანოსთან მივიდოდა და ეტყოდა:

— ვანო, შეხედე, რა ნაზი ია მაქვს.

ვანოს თუმც ძალიან სურდა, არ ჰქონდა ის ია.

— გინდა, შენი იყოს?

— მინდა. — უპასუხებდა ვანო.

მაშინ ნიკო ვანოს ეტყოდა:

— შენი იყოს!

ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და ვანო ლამაზ

კენჭებს დაინახავდა. ხელში აიღებდა, ააგდებდა და დაიჭერდა, შემდეგ კი ნიკოს ეტყოდა:

— გინდა, შენი იყოს?

— მინდა, — უპასუხებდა ნიკო.

და ფერადი კენჭი უკვე მას ეკუთვნოდა.

ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და ნიკო შველს დაინახავდა. დაინახავდა და დაედევნებოდა. დაედევნებოდა და დაიჭერდა. ხოლო შემდეგ მივიდოდა ვანოსთან და ეტყოდა:

— ვანო, გინდა ეს შველი შენი იყოს?

— მინდა. — უპასუხებდა ვანო.

შემდეგ იყო წარმტაცი ველი. შემდეგ — შრიალა ტყე. მზე როცა ჩადიოდა, ვანომ უთხრა ნიკოს:

— ნიკო, შეხედე, რა მშვენიერია მზის ჩასვლა!

და მზის ჩასვლა ნიკოსი გახდა.

მზე როცა ამოდიოდა, მზის ამოსვლა უკვე ვანოს ეკუთვნოდა...

ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ და სძულდათ ეს ქვეყანა, სძულდათ მთა-ველი, სძულდათ შრიალა ტყე, სძულდათ სიზმრები და შველი, სძულდათ მზე და ჭრელ-ჭრელი ყვავილები...

თესავდნენ პურს, მკიდნენ პურს და როცა წისქვილში შეიყრებოდნენ, პურით სავსე ტომრებს ერთმანეთს აჩეჩებდნენ და ბოლოს, დაღლილ-დაქანცულნი, მთელი ნათელი დღე სიმართლის ნაცვლად ზღაპრებს ყვებოდნენ. ვანო და ნიკო ქვეყნად დადიოდნენ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს ნუ ისურვებ, ნიკო!

ერთხელ ვანო ოცნებობდა.

ოცნებობდა ნიკოც.

ორივე ტრიალ მინდორზე იჯდა, ერთმანეთისაგან ზურგშექცევით და ორივე სივრცეს გაჰყურებდა.

„რა იქნებოდა, — ოცნებობდა ვანო, — რა იქნებოდა, რომ ადამიანი იბადებოდეს...“

„და მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდეს, ხოლო დასა-

ვლეთით ჩადიოდეს, — ოცნებობდა ნიკო, — ჩადიოდეს
და ის იყოს ერთი და ნათელი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ბევრს ნუ ისურვებ, ნიკო!

ვანო ოცნებობდა.

ოცნებობდა ნიკოც.

„რა იქნებოდა, რომ ადამიანი იზრდებოდეს, — ოცნებობდა ვანო, — იზრდებოდეს და ფეხს იდგამდეს...

„...და მთვარეც იყოს ცაზე, იყოს ვარსკვლავები, — ოცნებობდა ნიკო, — ვარსკვლავები კი ციმციმებდნენ“.

ვანო ოცნებობდა:

„რა იქნებოდა, რომ ადამიანი დარბოდეს, ხტოდეს, დასდევდეს პეპლებს და ხან იჭერდეს და ხან ვერ იჭერდეს...“

ნიკოც ოცნებობდა:

„და ხან გაზაფხული დგებოდეს, ბუნება ხარობდეს, ყვაოდეს; ხან ზაფხული იყოს, ცხელოდეს; ხან შემოდგომა იყოს, ხეს ფოთოლი სცვიოდეს; ხან ზამთარი იყოს, ცივი და სუსხიანი, თოვდეს თეთრი თოვლით... რა იქნებოდა!“

ორივე ტრიალ მინდორზე იჯდა, ორივე სივრცეს გაჰყურებდა, ორივე ოცნებობდა.

„რა იქნებოდა, ადამიანი ხან ავად ხდებოდეს და ხან კარგად. ხან ეძინებოდეს და იძინებდეს. ხან სიზმარს ხედავდეს. დრო მოვა და შეუყვარდებოდეს ვინმე... დრო მოვა და მასაც შეიყვარებდნენ...“

„და ეს ველიც იყოს. იყოს ვანოც, იყოს ნიკოც, ორივე სივრცეს გაჰყურებდეს. ორივე ოცნებობდეს... რა იქნებოდა!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ბევრს ნუ ისურვებ, ნიკო!

ვანო ოცნებობდა.

ოცნებობდა ნიკოც.

„რა იქნებოდა, ადამიანს ჰქონდეს ცრემლები. როცა ეტირებოდეს — ტიროდეს, ეცინებოდეს და იცინოდეს... ქარავანი კი მიდიოდეს...“

„...და იყოს მიწა...“

— ბევრს ნუ ისურვებ, ნიკო!

ვანო ოცნებობდა:

„რა იქნებოდა, რომ ადამიანი კვდებოდეს“.

— ო, ვანო, ბევრს ნუ ისურვებ!

ვანო ნიკოს სიზმარში

„და გამოვედით, რომ გვეხილა
კვლავ ვარსკვლავები“.
დანტე. „ჯოჯოხეთი.“

ერთხელ ვანო ნიკოს სიზმარში იყო.

დაიძინებდა ნიკო და, იყო მის სიზმარში სამყარო, სადაც ცა ქვისა იყო, მზე — ხისა, ხე — ნისლისა, ნის-

ლი — მიწისა, მიწა — ქარისა, ქარი — ტყვიისა, ტყვია კი აღარ მახსოვს, რისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიძინებდა ნიკო და მოდიოდა მის სიზმარში ვანო...

მოდიოდა ვანო ნიკოს სიზმარში და ფიქრი მისი ჭიანჭველებისაგან იყო, ოცნება მისი ფრინველებისაგან იყო, სიმღერა მისი კენჭებისაგან იყო...

დადიოდა ვანო ნიკოს სიზმარში: წყალს გაივლიდა და ცეცხლი მოედებოდა; მზეზე გავიდოდა და ყინულად იქცეოდა, აქეთ წავიდოდა და იქით აღმოჩნდებოდა; იქით წავიდოდა და იქვე რჩებოდა; მარჯვნივ გაუხვევდა და ნეტა მარცხნივ გაეხვია.

ხან ღამეში იყო ვანო და ხან ღამე იყო მასში.

აქ თავის წუხანდელ მწუხარებას ნახავდა, იქით ხვალინდელი დარდი ეგდო, მოშორებით თავისი მარტოობა ეგულებოდა.

ვანო ხან ტოტი იყო ხის — ირხეოდა და იტანჯებოდა; ხან კი ფოთოლი იყო — ყვითლდებოდა და დაბლა ვარდებოდა. დაბლა კი ცა იყო.

დაიძინებდა ნიკო და ია კოღოს მისდევდა, კოღო კალიას, კალია — კალმახს, კალმახი — მერცხალს, მერცხალი — ზვიგენს, ზვიგენი — ირემს, ირემი — მგელს, მგელი — არწივს, არწივი — ლომს, ლომი იას მისდევდა, ია კი არსად გარბოდა, იყო თავისთვის...

დადიოდა ვანო ნიკოს სიზმარში და ყვითელი რუხი იყო, რუხი ნარინჯისფერი იყო, ნარინჯისფერი მწვანე იყო, მწვანე წითელი იყო, წითელი შავი იყო, შავი ცისფერი იყო, ცისფერი კი სულ არ იყო...

დადიოდა ვანო ნიკოს სიზმარში და ჩრდილი მისი

სადაც დაეცემოდა, გაიბერებოდა, გასხეულდებოდა, ქვეწარმავლად გადაიქცეოდა, გახოხდებოდა, გაიკლაკნებოდა და მიწაში ჩაძვრებოდა.

დაიძინებდა ნიკო და მოდიოდა მის სიზმარში ვანო: ხან ბედნიერი და ხან უბედური; ხან მხიარული და ხან მწუხარე; ხან კეთილი და ხან ბოროტი.

ხან ერთი იყო ვანო, ხან ორი იყო ვანო, ხან სამი იყო ვანო და ხან ნახევარიც არ იყო ვანო.

ბევრი ხილი იყო ნიკოს სიზმარში, მაგრამ ყველა ხილი ერთი გემოსი იყო.

დაიძინებდა ნიკო და იყო მის სიზმარში ქვა მწუხარებით სავსე, ქვა ფიქრით სავსე, ქვა სიყვარულით სავსე, ქვა ბედნიერებით სავსე, ქვა შიშით სავსე, ქვა ეჭვით სავსე, ქვა მარტოობით სავსე და ქვა ქვისაგან ცარიელი.

ვანო ნიკოს სიზმარში ხან იბადებოდა, იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა. ხან კი პატარავდებოდა, ილეოდა და ქრებოდა.

ხან მკვლელი იყო ვანო და ხან თვით ეგდო სადღაც მკვდარი.

დაიძინებდა ნიკო და წამები მუხას მუმლად ეხვეოდნენ; დღეები თავიანთ ღამეებს დაეძებდნენ; წლები შორეულ გზებს დადგომოდნენ; საუკუნეები კი უსასრულო ველზე წამოწოლილიყვნენ, ყალიონს აბოლებდნენ და საუბრობდნენ.

დადიოდა ვანო ნიკოს სიზმარში და როცა იღვიძებდა — ეძინებოდა, როცა ეძინებოდა — იღვიძებდა.

ხან წვიმაში იყო ვანო და ხან წვიმა იყო მასში.

ხანდახან ნიკოს სიზმარში ვანო თავის სიზმარს ხედავ-

და. ვანოს სიზმარში მოდიოდა ქალი — დედამისი, კაცი — მამამისი, მისი დები, მისი ძმები, მისი მურა ძაღლი, მისი ხის სახლი, მისი პატარა ეზო, მისი პატარა ბაღი...

დილით კი იყივლებდა მამალი და გაიღვიძებდა ნიკო, გაიღვიძებდა ნიკო და ისიც აღარ იყო, რაც მის სიზმარში იყო.

შემდეგ კვლავ დადგებოდა ღამე, დაიძინებდა ნიკო და მოდიოდა მის სიზმარში ვანო...

ერთხელ ვანო ნიკოს სიზმრის კიდეს მიადგა და ცხადში გადაიხედა. გადაიხედა და დაინახა: ველი ყვავილებით სავსე, ტყე ხეებით სავსე, დღე სინათლით სავსე. ველზე იყო ლამაზი ქალი. ქალი კრეფდა ყვავილებს და მღეროდა.

იყივლა მამალმა და გაქრა ნიკოს სიზმარი და ვანოს ცხადიც გაქრა.

მოვიდა ღამე და კვლავ დაიძინა ნიკომ. კვლავ მოვიდა მის სიზმარში ვანო.

ვანომ წყალში გაიარა და ცეცხლი მოედო; მზეზე გავიდა და ყინულად იქცა, მარჯვნივ გაუხვია და ნეტა მარცხნივ გაეხვია, აქეთ წავიდა და იქით აღმოჩნდა, იქით წავიდა და იქვე დარჩა. ბოლოს მაინც მიაღწია ნიკოს სიზმრის ზღურბლს და ცხადში გადაიხედა: და ცისაგან იყო, მიწა-მიწისაგან საღამო-საღამოსაგან. ველიც დაინახა ყვავილებით სავსე. ველზე იყო ლამაზი ქალი, რომელიც კრეფდა ყვავილებს და მღეროდა...

კვლავ და კვლავ იძინებდა ნიკო. კვლავ და კვლავ მოდიოდა მის სიზმარში ვანო. კვლავ და კვლავ გაივლიდა წყალს და ცეცხლი მოედებოდა... ბოლოს მაინც მიაღწევ-

და ვანო ნიკოს სიზმრის ზღურბლს, რათა ენახა: ქვა ქვით სავსე, ია და ზამბახი, წვიმა წვიმისაგან ნაკეთები, ლამაზი ქალი, რომელიც ველად ყვავილებს კრეფდა და სიმღერას მღეროდა...

ერთხელ ვანომ ნიკოს სთხოვა, გაეშვა იგი თავისი სიზმრიდან.

ნიკომ ვანო გაუშვა თავისი სიზმრიდან...

მზიან შუადღეს გამტვერილ გზაზე უნახავთ თურმე დახეულ-დაფლეთილი, მშიერ-მწყურვალი მგზავრი, რომელიც ყავარჯენს ეყრდნობოდა და მიდიოდა.

ეს მგზავრი ვანო იყო.

ვანო შეჩერდა, სახიდან ნამდვილი ოფლი მოიწმინდა, გაიღიმა და განაგრძო გზა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლურჯთვალა ია

ერთხელ ყველაზე ძვირფასი ლურჯთვალა ია იყო...

ნიკო მიწას ჩასძახოდა: ლურჯთვალა ია! ლურჯთვალა ია!

ვანო დაიბადა.

ნიკო ცას შესთხოვდა: ლურჯთვალა ია! ლურჯთვალა ია!

ვანო გაიზარდა.

ნიკო კი მიწას ჩასძახოდა: ლურჯთვალა ია! ლურჯთვალა ია!

ვანო დავაჟკაცდა.

ნიკო კი ცას შესთხოვდა: ლურჯთვალა ია! ლურჯთვალა ია!

ვანომ ქალი მოიყვანა.
ნიკო კი — ლურჯთვალაო და ლურჯთვალაო!
ვანომ უღელში ხარები შეაბა.
ნიკო — კი ლურჯთვალა და ლურჯთვალაო!
ვანომ მთელი დღე იმუშავა.
ნიკო კი — ლურჯთვალაო!
ვანომ მეორე დღეც იმუშავა.
ნიკო — ლურჯთვალაო!
ვანომ მესამე დღეც იმუშავა.
ნიკო კი...
ვანომ პირველ შვილს ვანო დაარქვა.
ნიკო...
ვანომ მეორე შვილსაც ვანო დაარქვა.
ნიკო კი...
ვანომ ჭირნახული ქალაქს გაჰყიდა.
ნიკო კი — ლურჯთვალაო!
ვანომ მესამე შვილსაც ვანო დაარქვა.
ნიკო კი — ლურჯთვალაო და ლურჯთვალაო!
ვანომ მეოთხე შვილს ნიკო დაარქვა.
ნიკო კი გაიძახოდა: ლურჯთვალა ია! ლურჯთვალა ია!

დადგა ვანოს უკანასკნელი გაზაფხული. გადნა თოვლი. გამოჩნდა მიწა. ოდნავ გათბა ჰაერი. ოდნავ გაღვივდა მზე. ტოტებს კვირტები ოდნავ დაეტყო.

ვანო შინიდან გამოვიდა.

ნიკო მიწას ჩასძახოდა: ლურჯთვალა ია! ლურჯთვალა ია!

ვანო გამოვიდა შინიდან.

ნიკო ცას შესთხოვდა: ლურჯთვალა ია! ლურჯთვალა ია!

შინიდან გამოვიდა მოხუცი ვანო, მზეს ახედა, ჩიბუხი გააბოლა და ეზო მოიარა...

ლობის პირას ამოსულიყო ლურჯთვალა ია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო და ნიკო და ნიკო და ვანო

ადრე ნიკო ვანო იყო, ხოლო ვანო — ნიკო. მერე ნიკო ვანო გახდა, ხოლო ვანო — ნიკო. ბოლოს ორივე გავანოვდა.

ეს ასე მოხდა:

ნიკო ცუდი ადამიანი იყო და სულ ავს უკეთებდა სხვას. ხოლო ვანო კარგი ადამიანი იყო და სულ კარგს უკეთებდა სხვას. მაგრამ რადგან ადამიანს ერთი და იგი-

ვე ბეზრდება ხოლმე, ნიკოს მობეზრდა ნიკოობა, ხოლო ვანოს — ვანოობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკომ უთხრა ვანოს:

— მოდი გავვანოვდები!

ვანოს გაუხარდა და უპასუხა:

— მე კი გავნიკოვდები, კარგი?

— კი ბატონო!

და იმ დღის შემდეგ ნიკო გავანოვდა, ხოლო ვანო განიკოვდა.

მზესავით დღე იყო, როდესაც განიკოვებული ვანო ქუჩაში გამოვიდა. ხან აქეთ ეცა და ხან იქეთ. კაცს დაინახავდა და დასცინოდა. ქალს დაინახავდა და შეურაცხყოფდა. ბავშვს დაინახავდა და თავში წამოარტყამდა. ძაღლს დაინახავდა და ჯოხს მოუქნევდა. ბეღურას დაინახავდა და ქვას ესროდა. ქოთნებს ხომ სულ ამტვრევდა. ხეს ცულს ურტყამდა. აბა, რა უნდა დავარტყაო, ამბობდა.

მოკლედ, ვანო სულ განიკოვდა.

მზესავით დღე იყო და გავანოვებული ნიკოც გამოვიდა ქუჩაში. ნაცნობებს კარგ სალამს აძლევდა. ზოგჯერ უცნობებსაც ესალმებოდა. ბავშვებს ეფერებოდა. ბეღურებს საკენკს უყრიდა. აბა, რა უნდა დავუყაროო, ამბობდა. ხანდახან ხეებსაც რგავდა.

მოკლედ, სულ შეიცვალა ნიკო, სულ გავანოვდა.

გავიდა ხანი.

ღრუბელივით დღე დადგა და გავანოვებული ნიკო იჯდა და უხაროდა, რომ გავანოვდა. არ ახსოვდა, რომ

ოდესღაც ნიკო იყო. ყველას უყვარდა და ყველა უყვარდა. აბა, მეტი რა უნდოდა!

ღრუბელივით დღე დადგა და განიკოვებული ვანოც იჯდა და აგონდებოდა, რომ ოდესღაც ვანო იყო. აგონდებოდა, როგორ იცინოდა კაცი. როგორ იღიმებოდა ქალი. როგორ იზრდებოდა ბავშვი. როგორ ფრენდა ბეღურა. როგორი იყო ძაღლის ალერსი. რა ლამაზი იყო ქოთნები. როგორ ხარობდა ხე.

მერე გაახსენდა, რომ განიკოვდა და დაინახა, თუ როგორ წუხდა კაცი, როგორ სწყინდა ქალს. როგორ კვდებოდა ბეღურა. როგორ იმტვრეოდა ქოთნები. როგორ კვნესოდა ხე...

თქვა:

— ეჰ, — და მივიდა გავანოვებულ ნიკოსთან და უთხრა: — გავანოვებულო, აღარ მინდა ნიკოობა, დამიბრუნე ვანოობა.

— არა, — უპასუხა გავანოვებულმა ნიკომ.

— დამიბრუნე, გთხოვ, ჩემი ვანოობა.

— არა.

— დამიბრუნე, თორემ მე ახლა განიკოვებული ვარ და გცემ, გესმის?

მაშინ გავანოვებულმა ნიკომ უთხრა:

— ნუ წამართმევ ვანოობას, გთხოვ... ისეთი კარგია ვანოობა, ისე მინდა ვანოობა, რომ... ნუ წამართმევ!

განიკოვებული ვანო მოიღუშა და უპასუხა:

— მეც აღარ მინდა ნიკოობა...

გავანოვებული ნიკო ჩაფიქრდა, ხოლო მერე თქვა:

— განიკოვებულო! რა ვქნათ იცი? მოდი, შენც გავანოვდი და მაშინ ორივენი გავანოვებული ვიქნებით. განა არ შეიძლება ორი ვანო იყოს?

განიკოვებული ვანო ბევრს ეცადა და, ბოლოს, როგორც იქნა გავანოვდა ისევ, მიუხედავად იმისა, რომ წვიმასავით დღე იყო.

ასე განიკოვდა ვანო და გავანოვდა ნიკო; ხოლო ბოლოს ორივენი გავანოვდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ერთხელ 8
ყველაფერი რიგზე იქნებოდა . . . 11
ვანო და ნიკო და სიცილი 14
ვანო და ნიკო და ასანთი 17
ვანო და ნიკო და ვალი 22
ბრიყვი ვანო და ჭკვიანი ნიკო 27
ვანო და ნიკო და ნადირობა 30
ვანო და ნიკო და სიმაღლე და სიდაბლე . . 33
ვანო და ყოვლისშემძლე ნიკო 37
ვანო და შვიდი ნიკო 41
შენი იყოს! 44
ბევრს ნუ ისურვებ, ნიკო! 48
ვანო ნიკოს სიზმარში 51
ლურჯთვალა ია 56
ვანო და ნიკო და ნიკო და ვანო . . . 59

Ахвледиани Эрлом Сергеевич

ВАНО И НИКО

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули», Тбилиси, 1986

ს. ბ. № 1902

რედაქტორი **ც. ჩხაიძე**
მხატვარი **თ. ჯაფარიძე**
მხატვრული რედაქტორი **შ. დოლიძე**
ტექნიკური რედაქტორი **ზ. დონდუა**
კონტრ.-კორექტორი **მ. ლაღაძე**
კორექტორი **ა. ჭიჭინაძე**
გამომშვები **ნ. ჭელიძე**

გადაეცა ასაწყობად 10.09.86, ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.12.86 ქაღალდის ზომა 70×100 1/32, გარნიტური ვენა, ბეჭდვა მაღალი, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2,58, საბეჭდი ქაღალდი № 1, საღებავგატარება 2,66. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,77.

უე 08968. ტირაჟი 15000. შეკვ. № 1620.

ფასი 15 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მშვიდობის გამზირი 28

Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира 28.

380060 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. მედქალაქი, II სასწ. კორპ., საქ. სსრ გამსახკომის № 4 სტამბა.

380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок, II учеб. корп., Типография № 4 Госкомиздата Груз. ССР.



პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 53.038/2